

© შპს თავისუფალი ექსპერტები, 2020

პარასკევი, 03 თებერვალი, 2023

საექსპერტო შეფასება

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სანებართვო დოკუმენტაციის არქიტექტურული პროექტის უსაფრთხოებისა და მისაწვდომობის ნაწილების საქართველოში მოქმედ უსაფრთხოებისა და მისაწვდომობის ტექნიკურ რეგლამენტთან

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია შპს კრწანისი როიალ რეზიდენსის დაკვეთით

სარჩევი

I. შემკვეთის რეკვიზიტები: 4
II. ესპერტიზის საგანი: 4
III. ექსპერტიზის ობიექტის რეკვიზიტები: 4
IV. ტექნიკური რეგლამენტები: 5
V. ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნები შესაბამისობაზე: 5
VI. შეფასების საგანი და შესაფასებელი კომპონენტები: 8
VII. ინფორმაცია ექსპერტისა და სპეციალისტების შესახებ 9
VIII. დეკლარაცია მოწოდებულ ინფორმაციაზე და პასუხისმგებლობის შეზღუდვა 9
IX. გამოვლენილი გარემოებები: 11
X. დასკვნა: 21
დანართი 1: 22
დანართი 2: 26
დანართი 3: 27

ილუსტრაციების ნუსხა

ფოტო 1. სამუშაო გამოცდილება რეზიუმედან..... 22
ფოტო 2. სამუშაო გამოცდილება რეზიუმედან..... 23
ფოტო 3. სამუშაო გამოცდილება რეზიუმედან..... 24
ფოტო 4. სამუშაო გამოცდილება რეზიუმედან..... 25
ფოტო 5. დიპლომის ფოტოასლი. ყდა. 26
ფოტო 6. დიპლომის ფოტოასლი. შიგთავსი. 26
ფოტო 7. პირადობის მოწმობის ფოტოასლი..... 27

ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1. კომპონენტების ნუსხა..... 11
ცხრილი 2. იდენტიფიცირებული დაკავებულობები სდ მიხედვით..... 12
ცხრილი 3. სივრცეების დ.დ..... 12
ცხრილი 4. სართულების დ.დ..... 12
ცხრილი 5. სიმაღლე. 13
ცხრილი 6. ფართობები..... 13
ცხრილი 7. გარე კედლების ცეცხლემედეგობის შეფასება. 14
ცხრილი 8. საერთო სავალი ბილიკის შეფასება. 14
ცხრილი 9. გზა-კარების რაოდენობის შეფასება სივრცეებისთვის. 14
ცხრილი 10. მაქსიმალური სავალი მანძილები. 15
ცხრილი 11. დერეფნების ცეცხლმედეგობა. 15
ცხრილი 12. გამტარუნარიანობის შეფასება 15
ცხრილი 13. დერეფნის სიგანე. 16
ცხრილი 14. ღიობების მაქსიმალური ფართობების ანგარიშის ცხრილი პროექტიდან. 17
ცხრილი 15. აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობები. 19

საექსპერტო შეფასება

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სანებართვო დოკუმენტაციის არქიტექტურული პროექტის უსაფრთხოებისა და მისაწვდომობის ნაწილების საქართველოში მოქმედ უსაფრთხოებისა და მისაწვდომობის ტექნიკურ რეგლამენტთან

I. შემკვეთის რეკვიზიტები:

- დასახელება: შპს კრწანისი როიალ რეზიდენსი
- საიდენტიფიკაციო კოდი: 404569837

მისამართი: საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, ა. ჯაფარიძის ქ., N22ა (სადარბაზო 1)
+(995) 599374479
ggigauri@vr.ge

II. ესპერტიზის საგანი:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (*შემდეგში გეგმარებითი ობიექტი*) სანებართვო დოკუმენტაციის (*შემდეგში სდ*) არქიტექტურული ნაწილის (*შემდეგში პროექტი*) **ტექნიკურ რეგლამენტებთან** (*მითითებულია ქვევით*) **შესაბამისობა**.

III. ექსპერტიზის ობიექტის რეკვიზიტები:

3.1. გეგმარებითი ობიექტი

3.1.1. მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 01.18.06.013.057
3.1.2. მესაკუთრე: შპს კრწანისი როიალ რეზიდენსი.
3.1.3. მისამართი: საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, კრწანისის ქ.
3.1.4. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (შემდეგში გაპი): N200, 2020 წ.[1]
3.1.5. შენობა:

3.1.5.1. გამოყენების სახეობა: მრავალბინიანი სახლი
3.1.5.2. ფუნქცია: საცხოვრებელი
3.1.5.3. რაოდენობა: 1 (ოთხ ბლოკად)
3.1.5.4. კლასის განმსაზღვრელი პარამეტრები: [2]

მაჩვენებლები	*შენიშვნა*
S = 9204.8 კვ. მ	*შენობის განაშენიანების ფართობი*
H = 24.4 მ	*შენობის სიმაღლე*
D = 3.6 მ	*შენობის ჩაღრმავება*
L = 6.6	*შენობის მაქსიმალური მალის სიგრძე*

3.1.6. მშენებლობის კლასი: **IV კლასი**
3.1.7. მთლიანი სამშენებლო ფართობი: [3] **11518.70** კვ.მ, მათ შორის:

3.1.7.1. ტიპური სართულების ფართობი: 5269.60 კვ.მ
3.1.7.2. ატიპური სართულების ფართობი: 6249.10 კვ.მ [4]

[1] https://letters.ms.gov.ge/public/document-details/4609536
[2] მიიღება ის, რომელსაც ეხება შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები და ჩაუტარდა ექსპერტიზა (იხ. თავი: ტექნიკური რეგლამენტები).
[3] ყველა სართულის (მიწისქვეშა, მიწისზედა, ტექნიკური, არასრული, სრული, მანსარდის და/ან დაკავებული სივრცეების მქონე იატაკის ზედაპირები) იატაკის ზედაპირის გარე პერიმეტრში მოქცეული ფართობი.
[4] არატიპიური სართულების ფართობების ჯამი, არატიპიური სართულებია -1, 1 ,მე-6 და მე-7.

3.2. სანებართვო დოკუმენტაციის დეტალები: [5]

3.2.1. დამპროექტებელი: ***შემკვეთი***
3.2.2. სანებართვო დოკუმენტაცია (*შემდეგში სდ*): არქიტექტურული პროექტი, უსაფრთხოებისა და მისაწვდომობის ნაწილებით.
3.2.3. მთავარი არქიტექტორი/სპეციალისტი: მარიამ წიკლაური
3.2.4. საკონტაქტო პირი: მარიამ წიკლაური და/ან გიორგი გიგაური
3.2.5. მომზადების ადგილი და წერილი: თბილისი, 2023;
3.2.6. მომზადების ფორმატი: CAD და PDF ფაილის ფორმატები;
3.2.7. საჯარო რესურსი: tas.ge

IV. ტექნიკური რეგლამენტები: [6]

4.1. „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონი (3213-რს, 2018წ) – **[ref.: კოდექსი]**;
4.2. საქართველოს მთავრობის 31.05.2019 წ დადგენილება N256 „სანებართვო დოკუმენტაციის საექსპერტო შეფასებისა და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების დროებითი წესის შესახებ“ – **[ref.#: 256]**;
4.3. საქართველოს მთავრობის 31.05.2019 წ დადგენილება N255 „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ – **[ref.#: 255]**;
4.4. საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წ დადგენილება N57 „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ – [ref.#: 57];
4.5. ტექნიკური რეგლამენტი – **„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“**, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წ N41 დადგენილებით – **[ref.#: 41]**;
4.6. ტექნიკური რეგლამენტი – **„მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“**, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 04.12.2020 წ N732 დადგენილებით – **[ref.#: 732]**.

V. ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნები შესაბამისობაზე:

5.1. [ref.: კოდექსი], მუხლი 106. მშენებლობის ნებართვის მისაღებად წარდგენილი სანებართვო განაცხადისთვის თანდართული დოკუმენტები:

> ***1. სანებართვო განაცხადი უნდა მოიცავდეს:***
> *ა) ინფორმაციას მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობის (არსებობის შემთხვევაში) საკუთრების შესახებ;*
> *ბ) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ან ინფორმაციას განაშენიანების დეტალური გეგმის შესახებ;*
> *გ) წინასაპროექტო კვლევის შედეგებს;*
> *დ) **არქიტექტურულ პროექტს**;*
> *ე) მშენებლობის ორგანიზების პროექტს;*
> *ვ) წინასწარ გადაწყვეტილებას (არსებობის შემთხვევაში);*
> *ზ) საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევას, კონსტრუქციულ სქემას/პროექტს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – აგრეთვე ტექნოლოგიურ სქემას/პროექტს;*
> *თ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში – არქიტექტურული პროექტის, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის, კონსტრუქციული სქემის/პროექტის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – აგრეთვე ტექნოლოგიური სქემის/პროექტის თაობაზე აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოს ან/და სერტიფიცირებული ექსპერტის დასკვნას;*
> *ი) სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს;*

[5] რომელსაც ჩაუტარდა ექსპერტიზა.
[6] რომლის საფუძველზეც ან/და რომელთა მიმართებაშიც შემოწმდა ტექნიკური დოკუმენტაცია.

კ) საინფორმაციო დაფის ამსახველ ფოტოსურათებს.
*2. **ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტების მიმართ მოთხოვნები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით.***

5.2. [ref.: კოდექსი], მუხლი 141. გარდამავალი დებულებები:

1. 2019 წლის 3 ივნისამდე გაცემული მშენებლობის ნებართვა ინარჩუნებს იურიდიულ ძალას, ამასთანავე, მის საფუძველზე აშენებული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებით გამოიყენება ამ ნებართვის გაცემის დროს მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნები და წესები.

5.3. [ref.#: 255], დადგენილების მუხლი 2:

1. 2019 წლის 3 ივნისამდე გაცემული მშენებლობის ნებართვა ინარჩუნებს იურიდიულ ძალას. ამასთანავე, მის საფუძველზე აშენებული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებით გამოიყენება ამ ნებართვის გაცემის დროს მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნები და წესები.
2. 2019 წლის 3 ივნისის მდგომარეობით, მშენებარე და აშენებული შენობა-ნაგებობები, რომლებიც 2019 წლის 3 ივნისამდე არ ექვემდებარებოდა მშენებლობის ნებართვის მიღების ან მშენებლობის შეტყობინების ვალდებულებას, 2019 წლის 3 ივნისის შემდეგაც არ საჭიროებს აღნიშნულ ნებართვას ან შეტყობინებას.
3. თუ ამ დადგენილების ამოქმედებამდე გაცემულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, მაშინ მათი მოქმედების პერიოდში, ნებართვის გაცემის მიზნით, გამოიყენება მათი დამტკიცების მომენტისთვის მოქმედი კანონმდებლობა და ქალაქთმშენებლობითი გეგმები.
4. ტექნიკური ზედამხედველობის შემთხვევაში მოქმედებს ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის მოქმედი კანონმდებლობა.

5.4. [ref.#: 255], წესის მუხლი 13. არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა

1. კოდექსის 108-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, არქიტექტურული პროექტი მინიმუმ უნდა მოიცავდეს:
ა) თავფურცელს, ობიექტის დასახელებასა და მისამართს;
ბ) სარჩევს;
გ) გამოყენებულ პირობით აღნიშვნებს;
დ) განმარტებით ბარათს (საპროექტო ტერიტორიის შესახებ, ასევე შენობა-ნაგებობის სტრუქტურისა და მოცულობით-სივრცითი დაგეგმარების, ნულოვანი ნიშნულის განსაზღვრისა და აბსოლუტურ ნულოვან ნიშნულთან მიმართების, მხატვრულ-ესთეტიკური გადაწყვეტის შესახებ);
ე) შენობა-ნაგებობის ტექნიკურ მაჩვენებლებს, მათ შორის:
ე.ა) მიწის ნაკვეთის ფართობს;
ე.ბ) შენობის განაშენიანების ფართობს;
ე.გ) არსებულ და საპროექტო კ1-ის, კ2-ის (თითოეული სართულის მიხედვით) და კ3-ის მაჩვენებლებსა და მათ საანგარიშო ფართობებს;
ე.დ) შენობა-ნაგებობის ფართობს და არსებობის შემთხვევაში: საცხოვრებელ, საოფისე, კომერციულ, ავტოსადგომების, სასწყობო, საერთო სარგებლობის (მათ შორის, კიბის უჯრედების, სადარბაზოების) და სხვა დამხმარე სივრცეების (მათ შორის, საზაფხულო) ფართობებს;
ე.ე) შენობა-ნაგებობის კლასის განმსაზღვრელ პარამეტრებს;
ვ) მიწის ნაკვეთის გეგმას (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, ღერძების ხაზების, გაბარიტული და ღერძულა ზომების, მიწის ნაკვეთზე საპროექტო შენობა-ნაგებობის განთავსების, აბსოლუტური ჰორიზონტალური (კანონმდებლობით განსხვავებულ კოორდინატთა სისტემაში) და ვერტიკალური ნიშნულების, მიწის ნაკვეთის გაშწვანებისა და სხვა ასპექტების ასახვით);
ზ) სართულის გეგმები ყველა დონეზე და სახურავის გეგმა:
ზ.ა) შენობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმას საკადასტრო საზღვრის პროექციის, იატაკების ზედაპირების ნიშნულების ჩვენებით, შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულს, აბსოლუტურ ნულოვან ნიშნულთან მიმართებით;
ზ.ბ) შენობის სართულების გეგმები უნდა იძლეოდეს ინფორმაციას სართულის ძირითადი ზომების, ოთახის ან/და სივრცის ფართობებისა და მათი ძირითადი ზომების, ასევე გასასვლელი საშუალებების ძირითადი ზომების შესახებ;
*ზ.გ) **ავეჯის ან/და სხვა აღჭურვილობის განლაგების გეგმები** – „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების შესაბამისად;*

თ) შენობა-ნაგებობის მახასიათებელ ჭრილებს (საკადასტრო საზღვრის პროექციის, ღერძების ხაზების, ძირითადი გაბარიტული და ღერძულა ზომების, სართულებისა და არქიტექტურული ნაწილების მიხედვით ვერტიკალური ნიშნულების, გრუნტის ზედაპირის გადაკვეთის დონეების ნულოვან ნიშნულთან მიმართებით ჩვენებით);
ი) შენობა-ნაგებობის ფასადების ნახაზებს (საკადასტრო საზღვრის პროექციის, ღერძების ხაზების, ძირითადი გაბარიტული და ღერძულა ზომების, სართულებისა და არქიტექტურული ნაწილების მიხედვით ნიშნულების, გრუნტის ზედაპირის გადაკვეთის დონეების ნულოვან ნიშნულთან მიმართებით ჩვენებით, ასევე ფასადებზე გამოყენებული ყველა სახის მოსაპირკეთებელი მასალისა და მათი ფერების მითითებით);
კ) შენობა-ნაგებობის აქსონომეტრიულ ნახაზსა და ფოტომონტაჟს (მოსაპირკეთებელი სამშენებლო მასალებისა და ფერების მითითებით);
ლ) საჭიროების შემთხვევაში, ცალკეული კვანძების დეტალურ ნახაზებს;
მ) არქიტექტურული ელემენტების (კარ-ფანჯრები, ჯალუზები და სხვ.), დეტალების (გაფორმების ელემენტები, ნაკეთობები და ა. შ.) და სამშენებლო-მოსაპირკეთებელი მასალების სპეციფიკაციას;
ნ) საინჟინრო კომუნიკაციების ქსელების (ელ-გაყვანილობის, გაზმომარაგების, გათბობა-ვენტილაციის, წყალმომარაგებისა და წყალარინების) სქემებს
1[1]. არქიტექტურული პროექტის ნახაზები უნდა მომზადდეს შემდეგი მასშტაბებით:
ა) მიწის ნაკვეთის გეგმა – 1:500 ან 1:200 მასშტაბით;
ბ) შენობა-ნაგებობის სართულის გეგმები ყველა დონეზე და სახურავის გეგმა, მახასიათებელი ჭრილები, ფასადების ნახაზები და საინჟინრო კომუნიკაციების ქსელების სქემები – 1:100 მასშტაბით;
გ) შენობა-ნაგებობის გზა-კიბეები, ჰანდუსები, მისაწვდომი სივრცეები და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა ნაწილები უნდა მომზადდეს გადიდებული – 1:50 მასშტაბით;
დ) დეტალური ნახაზები უნდა მომზადდეს 1:20, 1:10, 1:5, 1:2 ან 1:1 მასშტაბით.
*2. დოკუმენტაცია ასევე უნდა მოიცავდეს **მიწის ნაკვეთის არსებული მდგომარეობის ამსახველ სიტუაციურ გეგმას,** სათანადო დეტალიზაციით (მდებარეობა საქალაქო ქუჩების მიხედვით) ან/და ორთოფოტოგეგმას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – მიწის ნაკვეთის გრუნტის ზედაპირის ცვლილების გეგმას, ტერიტორიის კეთილმოწყობის გეგმას, საკადასტრო საზღვრების გარეთ გათვალისწინებულ სამუშაოებზე (მაგალითად, ტროტუარის მოპირკეთების, არსებული ჰანდუსის ცვლილება) და ტერიტორიის ორგანიზების სხვა ასპექტების ამსახველ ნახაზებს.*
*3. **შენობა-ნაგებობის ფასადის ნახაზზე უნდა აისახოს ფასადზე განთავსებული ყველა ღიობისა და არქიტექტურული დეტალის ზომები,** საჭიროების შემთხვევაში, მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე არსებული შენობის სქემატური ფასადი (მაგ., ქუჩის განშლა).*
*4. **მიწის ნაკვეთის გეგმა დამუშავებული უნდა იქნეს მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმაზე.***
5. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული არქიტექტურული პროექტის ნაწილები შესაძლებელია, წარდგენილი იყოს შეთავსებული სახით.
6. ბეჭდური სახით წარდგენის შემთხვევაში – არქიტექტურული პროექტი წარდგენილი უნდა იყოს A-4 ფორმატად დაკეცილი და მყარყდიან ალბომად აკინძული სახით.
7. თვითმმართველი ერთეულის გადაწყვეტილებით, თავის სამოქმედო ტერიტორიაზე არქიტექტურული პროექტი შესაძლებელია, წარდგენილი იყოს ელექტრონული ფორმით.

5.5. [ref.#: 255], წესის მუხლი 21. სამშენებლო საქმიანობაში საექსპერტო შეფასების მიზანი, სფერო და სახეები:

2. სავალდებულო საექსპერტო შეფასებას ექვემდებარება სანებართვო დოკუმენტების პროექტები:
ა) არქიტექტურული პროექტი – III-IV კლასების შემთხვევაში;
ბ) საინჟინრო-გეოლოგიური – II-IV კლასის შემთხვევაში;
გ) კონსტრუქციული – II-IV კლასის შემთხვევაში (გარდა მშენებლობის შეტყობინების შემთხვევისა);
დ) ტექნოლოგიური – საჭიროების შემთხვევაში.
*****
5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით განსაზღვრული საექსპერტო შეფასება გულისხმობს „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან შესაბამისობას, სულ მცირე, შემდეგი ნაწილების მითითებით:
ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;
ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;
გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;
დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან

გამოსასვლელების შეფასებას;
ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;
ვ) მისაწვდომობის შეფასებას;
ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;
თ) სახურავის ანაწყობების შეფასებას;
ი) ცეცხლშედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამშიჯნავების შეფასებას;
კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;
ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;
მ) საჭიროების შემთხვევაში, სხვა მოთხოვნების შეფასებას.
6. საექსპერტო შეფასება უნდა შეიცავდეს ექსპერტიზის ჩატარების მეთოდს, შენიშვნებისა და დადებითი შეფასების დასაბუთებას. საბოლოო შეფასება უნდა იყოს ერთმნიშვნელოვნად დადებითი ან უარყოფითი. უარყოფითი შეფასება არის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი.

5.6. [ref.#: 41], დადგენილების მუხლი 2:

1. ამ დადგენილების მოქმედება ვრცელდება მხოლოდ კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ III, IV და V კლასს დაქვემდებარებული შენობებისა და ნაგებობების დაგეგმარებაზე, მშენებლობასა და მოვლა-ჰატრონობაზე.
2. ამ დადგენილების მოქმედება არ ვრცელდება იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც 2017 წლის 16 ნოემბრამდე შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი ან წარდგენილია განაცხადი არქიტექტურული პროექტის შეთანხმების თაობაზე ან/და გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წინამდებარე წესები უფრო ხელსაყრელ პირობებს ითვალისწინებს და მის გამოყენებაზე მოთხოვნას აყენებს განმცხადებელი. აღნიშნულ ობიექტებზე გავრცელდება ამ დადგენილების ამოქმედებამდე მოქმედი კანონმდებლობა.
3. თუ შენობა-ნაგებობები აშენებულია ამ დადგენილების ამოქმედებამდე ამ დადგენილების მოთხოვნების შეუსაბამოდ, მათი რეკონსტრუქციისას დაუშვებელია დადგენილების მოთხოვნათა მიმართ არსებული შეუსაბამობის ხარისხის კიდევ უფრო მეტად გაზრდა.

5.7. [ref.#: 41], წესის ქვეთავი 101 - ზოგადი დებულებები:

101.1 დასახელება. „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“, შემდგომში მოიხსენიება, როგორც „წესები“.
101.2 რეგულირების საგანი. წესების დებულებები ეხება ყველანაირი შენობის ან ნაგებობის ან ამ შენობებსა თუ ნაგებობებზე მიდგმული ან მათთან დაკავშირებული ნებისმიერი ნაგებობის მშენებლობას, გადაკეთებას, გადაადგილებას, გაფართოებას, შეცვლას, შეკეთებას, აღჭურვას, გამოყენებას და დაკავებულობას, მდებარეობას, მოვლა-ჰატრონობას/შენახვას, აღებასა და დანგრევას/დაშლას.
გამონაკლისი: ამ წესებით არ რეგულირდება:
1. ერთ-ან ორერთეულიანი (ბინიანი) ცალკე მდგომი, II კლასს დაქვემდებარებული, საცხოვრებლები, ასევე, მათი დამხმარე ნაგებობები, რომლებიც უზრუნველყოფილია დამოუკიდებელი გასასვლელი საშუალებებით და სიმაღლეში არ აღემატება მიწის დონიდან სამ სართულს.
2. ხაზობრივი ნაგებობები, წყალსაცავები, კაშხლები, ნავთობის ბაზები, ელექტროსადგურები და ნაჰირსამაგრი ნაგებობები.
101.3 მიზანი. წესების მიზანია მინიმალური პირობების შექმნა საზოგადოების ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და საერთო კეთილდღეობის მისაღწევად, რასაც უზრუნველყოფს გასასვლელი საშუალებები, სანიტარიული პირობები, სათანადო განათება და განიავება, შენობაში ხანძრისა და სხვა საფრთხეებისგან სიცოცხლისა და საკუთრების დაცვა, ასევე, შეზღუდულ-მაშველებისა და მაშველების უსაფრთხოება საგანგებო ვითარებებისას

VI. შეფასების საგანი და შესაფასებელი კომპონენტები:[7]

გეგმარებითი ობიექტის პროექტის უსაფრთხოებისა და მისაწვდომობის ნაწილების შესაბამისობა *ტექნიკურ რეგლამენტთან* და მშენებლობის ნებართვის მიღების შესაძლებლობის დადგენა.

[7][**ref.#: 256**]: *„მუხლი 2. ექსპერტიზას დაქვემდებარებული სანებართვო დოკუმენტაციის სახეები შენობა-ნაგებობის კლასების მიხედვით.“*

ტექნიკური რეგლამენტების მიხედვით, საექსპერტო შეფასებას ექვემდებარება სანებართვო დოკუმენტაციის არქიტექტურული პროექტი (უსაფრთხოებისა და მისაწვდომობის ნაწილები), შემდეგ კომპონენტებში:

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;
ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;
გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;
დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;
ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;
ვ) მისაწვდომობის შეფასებას;
ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;
თ) სახურავის ანაწყობების შეფასებას;
ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;
კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;
ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;
მ) საჭიროების შემთხვევაში, სხვა მოთხოვნების შეფასებას.

VII. ინფორმაცია ექსპერტისა და სპეციალისტების შესახებ

7.1. ექსპერტი:

- სახელი გვარი: **ვახტანგ ჯოხაძე**
- პროფესია და კვალიფიკაცია: არქიტექტორი, სივრცითი დაგეგმვისა და სანებართვო საქმიანობის ექსპერტი
- მოკლე ბიოგრაფიული ცნობები: დანართი 1
- კვალიფიკაციის ცნობები: დანართი 2.

7.2. სპეციალისტი:

- სახელი გვარი: **მიხეილ მუმლაძე**
- პროფესია და კვალიფიკაცია: არქიტექტორი, შენობა-ნაგებობების უსაფრთხოებისა და მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების სპეციალისტი

VIII. დეკლარაცია მოწოდებულ ინფორმაციაზე და პასუხისმგებლობის შეზღუდვა

წინამდებარე საექსპერტო შეფასების ანგარიშის დანიშნულებაა შემკვეთს მიაწოდოს საექსპერტო შეფასების შედეგები, რაც მისთვის საჭიროა გეგმარებითი ობიექტის სდ არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

მე, ვახტანგ ჯოხაძემ, არქიტექტურის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე არქიტექტორმა, სივრცითი დაგეგმვისა და სანებართვო საქმიანობის ექსპერტმა, სპეციალისტ(ებ)თან ერთად მოვამზადე რა წინამდებარე ანგარიში, რომელიც ეფუძნება დამპროექტებელი კომპანიის მიერ მოწოდებული სდ-ს, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება მასვე, ხელის მოწერით ვადასტურებ შეფასების ფარგლებში ჩემ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორესა და შესაბამისობას რეგლამენტებთან: [ref.#: 255], [ref.#: 256], [ref.#: 41], [ref.#: 732].

ანგარიში არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა დანიშნულებით, გარდა ამ ანგარიშში მოყვანილი რეგლამენტებით უშუალოდ გათვალისწინებულისა. ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ შემოწმებული სდ-ის რეგლამენტებთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე და/ან მშენებლობის პროცესში მისგან გადახვევაზე.

ექსპერტი **ვახტანგ ჯოხაძე**

03.02.2023, თბილისი

IX. გამოვლენილი გარემოებები:

შენიშვნა:

N	*ამ პარაგრაფში გამოყენებული აღნიშვნები*	
1.	×	*მითითებულ ადგილას კომპონენტის სტატუსი არის სრულად შესაბამისი*
2.	—	*მითითებულ ადგილას კომპონენტის სტატუსი არის ნაწილობრივ შესაბამისი*
3.	□	*მითითებულ ადგილას კომპონენტის სტატუსი განისაზღვრება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ*

შესწავლილ იქნა შენობის სდ, ზემოხსენებულ რეგლამენტებთან ([ref.#: 255], [ref.#: 41], [ref.#: 732]) მიმართებაში და გამოვლენილ იქნა შემდეგი გარემოებები:

9.1. არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა:

„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან“ შესაბამისობის ანალიზის ნაწილში:

N	კომპონენტი	გააჩნია	არ გააჩნია
1.	თითოეული დაკავებულობისა და გამოყენების აღწერა	×	
2.	კონსტრუქციის ტიპ(ებ)ი	×	
3.	სიმაღლის შეზღუდვები	×	
4.	ფართობის შეზღუდვები	×	
5.	გარე კედლის ცეცხლმედეგობა და ღიობები	×	
6.	ხანძრისაგან დაცვის სისტემები	×	
7.	მოთხოვნები გასასვლელებისადმი	×	
8.	მისაწვდომობა	×	
9.	იატაკის და სახურავის ანაწყობები	×	
10.	ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავები	×	
11.	წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობები	×	

ცხრილი 1. კომპონენტების ნუსხა

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები სრულად

9.2. დაკავებულობ(ებ)ი და დაკავებულობის დატვირთვები:

[ref.#: 41]. *თავი 3, ცხრილი 302, ქვეთავი 403 და 406*

9.2.1. დაკავებულობები

პროექტით წარმოდგენილია საცხოვრებელი კომპლექსი, რომელიც შედგება 4 მრავლბინიანი, 6 და 7 სართულიანი, არამაღლივი[8], დამოუკიდებელი ბლოკისგან და ერთი მიწისდონის ქვედა საერთო შემოზრუდული გარაჟის სართულისგან.

თითოეული სართულის გამოყენება და შესაბამისი დაკავებულობა ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული **302**-ე ქვეთავის შესაბამისად. შენობის ძირითადი დაკავებულობის ჯგუფი არის სც-2, რომელიც მოიცავს 4-ვე ბლოკის ყველა სართულს, ხოლო -2.95 ნიშნულზე წარმოდგენილია სწ-2 ჯგუფის დაკავებულობა, 40 ავტომობილზე გათვლილი შემოზღუდული ავტოსადგომი.

წარმოდგენილი შემოზღუდული ავტოსადგომი, რაზეც დგას 4-ვე ბლოკი, განიხილება

[8] ბოლო დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი, ყველაზე დაბალი დონიდან 23 მ-ზე ქვემოთ.

მთლიანი კომპლექსის განსხვავებულ ნაწილად (შენობად), რაც დასაშვებია [ref.#: 41] წესების 510.2 ქვეთავის მოთხოვნების დაცვით. შემოზღუდული გარაჟისთვის ასევე დაცულია 406 ქვეთავის მოთხოვნები.

შემოზღდული პარკინგის საშხეფი სისტემებისთვის განსაზღვრული სახანძრო ტუმბოსა და რეზერვუარის სივრცეები წარმოდგენილია შენობის გარეთ, დამოუკიდებელ ცალკე მდგომ შენობაში, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ ტექნიკური ოთახებს ინდივიდუალურად არ კლასიფიცირდება. სახანძრო ტუმბოს ოთახისთვის დაცულია 913.2.1 ქვეთავის მოთხოვნები ცეცხლმედეგ ზღუდეებთან დაკავშირებით.

შენობაში თანმხლები გამოყენებები, რაც მოცემულია ცხრილი 509-ში, პროექტით არ არის გათვალისწინებული და წესების თანახმად დაკავებულობის აუცილებელი გამოჯვნის დებულებები ამ კუთხით არ ვრცელდება.

გამოყენება	დაკავებულობის ჯგუფი	S (m²)	ლოკაცია	
			ნუმერაცია	ნიშნული
საცხოვრებელი ერთეულები	**სც-2**	8749.5	N1-80 ბინა	±0.00_+19.85
შემოზღუდული ავტოსადგომი	**სწ-2**	1818.5	N1	-2.95

ცხრილი 2. იდენტიფიცირებული დაკავებულობები სდ მიხედვით.

9.2.2. დაკავებულობების დატვირთვები

საპროექტო შენობების დაკავებულობების დატვირთვების ანგარიშისთვის გამოყენებულია დ.დ.ფ. მაჩვენებლები 1004.1.2 ცხრილიდან.

პროექტში სივრცეებიდან გასასვლელებისკენ შუალედური ოთახები არ გვაქვს, შესაბამისად დაგროვებული დატვირთვა არ გვხვდება არცერთ სივრცეში.

დამხმარე გამოყენება პროექტის მიხედვით არის დერეფანი, ლიფტი-ფოიე/ლობი, ვესტიბიული, გზა-კიბე და ტექნიკური ოთახები, რომელიც დაანგარიშებულია იატაკის ფართობებში[9] იმ დაკავებულობებთან ერთად, რომელსაც ის ემსახურება.[10]

დაკავაბულობის დატვირთვის ანგარიში შესრულებულია ცალკე სივრცეებისთვის და ცალკე სართულებისთვის, რადგან აღნიშნულზეა დამოკიდებული თითოეულის გასასვლელი საშუალების ზომა და რაოდენობა.

დაკავებულობის ჯგუფი	სივრცის დანიშნულება	სივრცე		დატვირთვა		
		ნუმერაცია	ნიშნული	S (m²)	დ. დ. ფ.	დ.დ.
სც-2	საცხოვრებელი ერთეული	ბლოკი N2-3	+19.85	218,4	18,6	12
		ბლოკი N1-4	+16.50	148,5		8
სწ-2	შემოზღუდული ავტოსადგომი	N1	-2.95	1818,5		98

ცხრილი 3. სივრცეების დ.დ.[11]

დაკავებულობის ჯგუფი	სივრცის დანიშნულება	სართული/ ნიშნული	დატვირთვა		
			S (m²)	დ. დ. ფ.	დ.დ.
სც-2	საცხოვრებელი (მათ შორის ცირკულაციის სივრცეები)[12]	+19.85	489,7	18,6	27
		1-7	≤400.0		22
სწ-2	შემოზღუდული ავტოსადგომი (მათ შორის ცირკულაციის სივრცეები)	-2.95	1818,5		98

ცხრილი 4. სართულების დ.დ.[13]

[9] სადაც მოთხოვნილია დაკავებულობის დატვირთვის ანგარიში იატაკის მთლიანი ფართობით.
[10] ამასთან მათი ცალკე დაკავებულობად კლასიფიცირება და დატვირთვის დაანგარიშება არ ხდება, რადგან წარმოადგენენ შენობის ცირკულაციისთვის განკუთვნილ, დაუკვაბელ სივრცეებს.
[11] ვინაიდან ყველა სივრცეს მოეთხოვება და გათვალისწინებულია ერთი რაოდენობის გასასვლელი (მსგავს დაკავებულობებში), თითოეული დაკავებულობიდან წარმოდგენილია მაქსიმალური ფართობის/დაკავებულობის სივრცე.
[12] დერეფანი, გზა-კიბე, ლიფტი, ფოიე, ტამბური, ვესტიბიული
[13] ვინაიდან შენობის თითოეულ სართულს აქვს მსგავსი ტიპის და რაოდენობის გასასვლელები და აკმაყოფილებს მოთხოვნებს, გამომდინარე აქედან, წარმოდგენილია ყველაზე დიდი დაკავებულობის სართული, დაკავებულობის ჯგუფების მიხედვით. დეტალური კროკები სხვა სართულებისთვის წარმოდგენილია პროექტის CAD ფაილში.

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

9.3. კონსტრუქციის ტიპ(ებ)ი, სიმაღლე და ფართობი:

[ref.#: 41]. *ცხრილი 503*

კონსტრუქციის ტიპები პირდაპირ კავშირშია შენობისათვის დასაშვებ სიმაღლესთან და ფართობთან, მათი გამოყენების/დაკავებულობის საფუძველზე. წესების საუკეთესო საერთაშორისო გამოყენება გვკარნახობს, რომ დამპროექტებელმა ჯერ უნდა განსაზღვროს სასურველი გამოყენება/დაკავებულობის ჯგუფი, ამის შემდეგ გამოიყვანოს სასურველი სიმაღლე და ფართობი, და ბოლოს — განსაზღვროს კონსტრუქციის ტიპი.[14] ამის შემდგომ, განისაზღვრება ცეცხლმედეგობის მიმართ მოთხოვნები გამოსაყენებელ მასალებზე ცხრილი 601 და 602-ის მიხედვით.

9.3.1. საპროექტო შენობების მაქსიმალური სიმაღლეები და ფართობები შერჩეულია სწორად *წესების* თავი 5 ცხრილი 503-ს მიხედვით, დაკავებულობის ჯგუფების გათვალისწინებით:

დაკავებულობის ჯგუფი	შენობის სიმაღლე (მ)		სართულიანობა		კონსტრუქცია	
	დასაშვები	დაგეგმილი [15]	დასაშვები	დაგეგმილი [13]	ტიპი	კლასი
სც-2	48.8	27,35	11	7	**I**	**B**
სწ-2	შეუზღუდავი		შეუზღუდავი	1	**I**	**A**

ცხრილი 5. სიმაღლე.

დაკავებულობის ჯგუფი	სართულიანობა (ნიშნულები)	სართულის ფართობი S (m²)[16]		კონსტრუქცია	
		მაქსიმალური დასაშვები	დაგეგმილი	ტიპი	კლასი
სც-2	1-7 (±0.00_+19.85)	შეუზღუდავი	489,7	**I**	**B**
სწ-2	-1 (-2.95)	შეუზღუდავი	1818,5	**I**	**A**

ცხრილი 6. ფართობები.

9.3.2. საპროექტო შენობების კონსტრუქციის ტიპი შერჩეულია წარმოდგენილი გამოსაყენებელი მასალების ცეცხლმედეგობის, ფართობისა და სიმაღლეების გათვალისწინებით და შემოზღუდული ავტოსადგომისთვის კონსტრუქციის ტიპად მიღებულია **I (A),** ხოლო მრავალბინიანი ბლოკებისთვის **I (B)**

9.3.3. ცეცხლმედეგობის ანგარიშისთვის გამოყენებულია ცხრილი 601, მიუხედავად იმისა, რომ ანალიზში ცალკე არ არის მოცემული ცეცხლმედეგობის ამოკრებილი ცხრილი, მოთხოვნები პროექტით სწორად არის განსაზღვრული. კერძოდ:

- **სტრუქტურული ჩარჩო:** 3 სთ > გათვლილია 3 სთ-ზე მეტი (20/40X40სმ კრემნიუმის ბეტონის სვეტები. იხ. ცხრილი 722.2.4)[17]
- **გარე მზიდი კედლები:** 3 სთ > ასეთ არ გააჩნია
- **შიგა მზიდი კედლები:** 3 სთ > ასეთი არ გააჩნია
- **გარე არამზიდი კედლები:** ცხრ. 602 შესაბამისად[18] 1 სთ- > გათვლილია 1 სთ-ზე მეტი (20 სმ კაჟბადის ხრეშის ბეტონის წყობის ერთეული (ბლოკი). იხ. ცხრილი 721.1(2)).
- **შიგა არამზიდი კედლები და ტიხრები:** 0 სთ > გათვლილია 0 სთ-ზე მეტი, სივრცეების და დერეფნების გამმიჯნავი კედლები (10 სმ კაჟბადის ხრეშის ბეტონის წყობის ერთეული (ბლოკი). იხ. ცხრილი 721.1(2))
- **იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები:** 2 სთ > გათვლილია 2 სთ-ზე მეტი (20 სმ კაჟბადის შემავსებლიანი ბეტონის ფილა. იხ. ცხრილი 721.1(3))

[14] მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისობის ანალიზში ყოველთვის ჯერ კონსტრუქციას უთითებენ და შემდეგ ფართობსა და სიმაღლეს.
[15] სიმაღლე და სართულიანობა მიწის დონის ზევით.
[16] აღებულია ყველაზე დიდი იატაკის მქონე სართულის ფართობი თითოეული დაკავებულობის ჯგუფისთვის.
[17] პროექტიდან აღებულია ყველაზე მცირე მაჩვენებლები.
[18] დეტალურად იხ. შემდეგი ცხრილი.

- **სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები:** 1 სთ > გათვლილია 1 სთ-ზე მეტი (20 სმ კაჟბადის შემავსებლიანი ბეტონის ფილა. იხ. ცხრილი 721.1(3))

9.3.4. **ტიპი I (A) და I (B)** კონსტრუქციისთვის, ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები გარე კედლებისათვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის მიხედვით მიღებულია სწორად, ცხრილი 602 შესაბამისად.

თითოეული გარე კედლის დაშორება ცალ-ცალკეა გაზომილი და მისადაგებული ცხრილის პარამეტრებსა და დაკავებულობის ჯგუფებს:

გარე კედლის მონაკვეთი	დაკავებულობა	ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი – X (მ)	კონსტრუქციის ტიპი	ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები	
				მოთხოვნილი	გათვალისწინებული
A	სც-2	3 ≤ X < 9; X ≥ 9	I (B)	1 სთ	>1სთ
	სწ-2				

ცხრილი 7. გარე კედლების ცეცხლმედეგობის შეფასება.

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

9.4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

9.4.1. გასასვლელთან მისადგომი: გასასვლელთან მისადგომი 1014 ქვეთავის შესაბამისად არის დაპროექტებული. შუალედური სივრცეები პროექტში არ გვხვდება დაცულია 1014 ქვეთავის მოთხოვნები, გასასვლელისაკენ სავალი საერთო ბილიკის მიმართ 1014.3 ცხრილის შესაბამისად:

სართული/ნიშნული	დაკავებულობა		გასასვლელისკენ სავალი მაქსიმალური საერთო ბილიკი		
	ჯგუფი	დატვირთვა	საშხეფი სისტემა	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
ყველა სართულზე	სც-2	< 30	არა	23 მ	< 23.0 მ
-1 (-2.95)	სწ-2	> 30	კი	30 მ	13.0 მ

ცხრილი 8. საერთო სავალი ბილიკის შეფასება.[19]

9.4.2. გასასვლელის და გასასვლელთან მისადგომის გზა-კარები: კომპონენტების რაოდენობის გამოთვლა შესრულებულია შესაბამისი დაკავებულობის დატვირთვების საფუძველზე, **1015.1 ცხრილის**, 1015.1 და 1015.1.1 ქვეთავების გათვალისწინებით და დაცულია წესების მოთხოვნები. ქვემოთ მოცემულია თითოეული დაკავებული სივრციდან გასასვლელის გზა-კარების რაოდენობის ანგარიში:

სართული /ნიშნული	დაკავებულობის ჯგუფი	სივრცე N	დამკავებელთა დატვირთვა		სივრციდან გასასვლელის გზა-კარის რაოდენობა	
			მაქსიმალური	არსებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
6 (+16.50)	სც-2	N 17-40	10	8	1	1
7 (+19.85)	სც-2	N 23-40	10	12	2	2
-1 (-2.95)	სწ-2	N1	29	98	2	4

ცხრილი 9. გზა-კარების რაოდენობის შეფასება სივრცეებისთვის.[20]

9.4.3. თითოეულ სართულზე, გასასვლელის გზა-კარებისთვის დაცულია 1015.2.1 ქვეთავის მე-2 გამონაკლისის მოთხოვნები, კერძოდ 2 გზა-კარის მქონე შენობის ან ფართობის გასასვლელის გზა-კარები ერთმანეთისგან დაცილებულია

[19] ცხრილში აღწერილია და შეფასებულია ყველაზე მკაცრი მოთხოვნის მქონე სივრცე თითოეული ტიპის დაკავებულობიდან (ანუ ყველაზე დაშორებული).
[20] ვინაიდან ყველა მსგავს დაკავებულობაში სივრცეებს მოეთხოვება და გათვალისწინებულია ერთი რაოდენობის გასასვლელი (მთელ შენობაში), თითოეული დაკავებულობიდან წარმოდგენილია მაქსიმალური ფართობის/დაკავებულობის სივრცე.

შენობის/სივრცის მაქსიმალური დიაგონალის სიგრძის 1/2 მეტი მანძილით.

9.4.4. ვინაიდან საპროექტო ობიექტები წარმოადგენს არაუმეტეს 8 სართულიან არამაღლივ შენობებს და თითოეული სართული არ აღემატება 400 კვ.მ-ს (გამონაკლისია მე-8 სართული სადაც, წარმოდგენილია სართულიდან 2 გასასვლელი) წესების შესაბამისად თითოეულ ბლოკს სართულიდან მოეთხოვება 1 გასასვლელი, რაც პროექტით გათვალისწინებულია.

9.4.5. გასასვლელთან მისადგომის სავალი მანძილი: სწორად არის მიღებული საპროექტოდ გასასვლელთან მისადგომების სავალი მანძილები 1016.2 ცხრილის საფუძველზე და ასახულია პროექტში. კერძოდ, ყველაზე მკაცრი მაქსიმალური სავალი მანძილი დაცულია:

სართული	დაკავებულობა	გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი		
		საშხეფი სისტემა	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
7 (+19.85)	სც-2	არა	60 მ	46.50 მ
-1 (-2.95)	სწ-2	კი	120 მ	13.50 მ

ცხრილი 10. მაქსიმალური სავალი მანძილები.

9.4.6. დერეფნები: დერეფნების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 1018.1 ცხრილის მიხედვით:

სართული/ ნიშნული	დაკავებულობა	დ.დ	ცეცხლმედეგობის ხარისხი (საათებში)		
			საშხეფი სისტემა	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
1-7 (±0.00_+19.85))	სც-2	> 10	არა	1,0	>1,0

ცხრილი 11. დერეფნების ცეცხლმედეგობა.

9.4.7. შენობიდან გამოსასვლელი: პროექტით დაცულია წესების 1027 ქვეთავის მოთხოვნები, შენობის გასასვლელებთან მიმართებაში.

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

9.5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:

9.5.1. შიგა გასასვლელის გზა-კიბეები მოწყობილია 1022 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად. მათი და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა მიღებულია **1005.3.1** და **1005.3.2 ქვეთავების** შესაბამისად და აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს:

სართული/ნიშნული	დაკავებულობის ჯგუფი	Σ დ.დ.	კომპონენტი	გამტარუნარიანობა		
				გამტარუნარიანობის ფაქტორი (სმ)	მოთხოვნილი სიგანე (სმ)	გათვალისწინებული სიგანე (სმ)
7 (+19.85)	სც-2	27	გზა-კიბე	0,76	20,52	120
			დერეფანი	0,51	13,77	155
			გზა-კარი	0,51	13,77	92
-1 (-2.95)	სწ-2	98	გზა-კიბე	0,51	50,00	480
			გზა-კარი	0,38	37,24	368

ცხრილი 12. გამტარუნარიანობის შეფასება

9.5.2. უზრუნველყოფილია უწყვეტობა შენობაში;

9.5.3. გზა-კიბეების ბაქანების სიგანეები აღემატება მინიმალურ მოთხოვნილ სიგანეს;

9.5.4. **1009.16** ქვეთავის თანახმად სახურავზე მიდგომა ხდება გზა-კიბეებით;

9.5.5. დერეფნის ზომები აკმაყოფილებს **1018.2** ცხრილით მოთხოვნილ მაჩვენებლებს.

სართული/ ნიშნული	დაკავებულობა	დერეფნის მინიმალური სიგანე	
		მოთხოვნილი	გათვალისწინებული
ყველა	სც-2	1,2 მ	>1,20 მ

ცხრილი 13. დერეფნის სიგანე.

9.5.6. კარების მინიმალური ზომები მიღებულია **1008.1.1** ქვეთავის გათვალისწინებით: არანაკლებ, 82 სმ თავისუფალი სიგანე.

9.5.7. დაცულია ქვეთავი **1008.1.2**-ის მოთხოვნები კარებთან მიმართებაში.

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

9.6. მისაწვდომობის შეფასება [21]

საპროექტო დაკავებულობებთან მიმართებაში პროექტის მიხედვით:

9.6.1. **ლიფტები:** სც-2 ჯგუფის მრავალბინიან საცხოვრებელ შენობებს 1007.2.1 ქვეთავის მე_3 გამონაკლისის საფუძველზე არ მოეთხოვება 1007.4 ქვეთავის შესაბამისი აუცილებელი გასასვლელი მისაწვდომი ლიფტი. თუმცა პროექტში თითოეულ ბლოკში წარმოდგენილია მისაწვდომი ლიფტები (არა აუცილებელი გასასვლელი), რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ მე-17 ქვეთავის მოთხოვნებს.

9.6.2. **გზა-კიბეები:** „იმისათვის, რომ გზა-კიბეები მისაწვდომი გასასვლელი საშუალების ნაწილად ჩაითვალოს, სართულებს შორის მდებარე გზა-კიბის თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის, სულ მცირე, 1,2 მ უნდა იყოს და უნდა მოიცავდეს ან იატაკის დონეზე გადიდებული ბაქნის საზღვრებში მდებარე თავშესაფრის ფართობს, ან უნდა ჰქონდეს მისადგომი 1007.6 ქვეთავის შესაბამისი თავშესაფრის ფართობიდან, ან ჰორიზონტალური გასასვლელიდან“. ზემოაღნიშნული გათვალისწინებულია პროექტში.

9.6.3. **თავშესაფრის ფართობი:** თავშესაფრის ფართობად გამოყენებულია კიბის უჯრედი, რომელიც თავის მხრივ აკმაყოფილებს 1007.6 ქვეთავის მოთხოვნებს.

9.6.4. **კარები:** თავისუფალი სიგანე > ან = 82 სმ (ერთი ფრთა); თავისუფალი სიმაღლე > ან = 205 სმ (1008 ქვეთავი);

9.6.5. **მისაწვდომი სვლაგეზი**: მიწის ნაკვეთზე და შენობაში უზრუნველყოფილია მისაწვდომი სვლაგეზი;

9.6.6. **ავტოსადგომი**: დაცულია 1106.2 ქვეთავის მოთხოვნები, ავტოსადგომების საერთო რაოდენობა შეადგენს 40 ერთეულს, შესაბამისად მოეთხოვება და გათვალისწინებულია 2 მიკროავტობუსისთვის მისაწვდომი ავტოსადგომი.

9.6.7. **ტუალეტისა და სააბაზანოს მოწყობილობები:** ვინაიდან სც-2 ჯგუფის 1 და 4 ბლოკში არ არის განთავსებული 20-ზე მეტი საცხოვრებელი ერთეული, 1107.6.2.1.1 ქვეთავის შესაბამისად არ მოეთხოვება „ა“ ტიპის ერთეულები, მაგრამ ყველა საცხოვრებელი ერთეული მოწყობილი უნდა იყოს, როგორც „ბ“ ტიპის ერთეულები „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხოლო 2 და 3 ბლოკში 1107.6.2.1.1 ქვეთავის შესაბამისად წარმოდგენილია თითო „ა“ ტიპის ბინა.

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

9.7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

9.7.1. ფასადები სადაც ღიობებია გათვალისწინებული, წესების თანახმად სხვადასხვა ოდენობით იზღუდება ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის მიხედვით. ამ გარემოებების გათვალისწინებით, გარე კედლის ღიობების ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით

[21] [ref.#: 732] შესაბამისობის შეფასება იხ.

წესების შესაბამისად არის დაგეგმარებული (ცხრილი 705.8):

მონაკვეთი	ნიშნული	ფართობები (კვ.მ)			ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი	დაცვის ხარისხი	დასაშვები ფართობი (%)	გათვალის წინებული
		ფასადის	ღიობის					
			დაცული	დაუცველი				
1-14[22] 14-1 ე-თ	-2.95 +23.20	-	-	-	9.0 მ და მეტი	დაუცველი საშხეფის გარეშე	შეუზღუდავი	-
დ-ა	-2.95 +23.20	47.1		10.9	6.0 მ და მეტი და 7.5_ზე ნაკლები	დაუცველი საშხეფის გარეშე	45%	23,1%

ცხრილი 14. ღიობების მაქსიმალური ფართობების ანგარიშის ცხრილი პროექტიდან.

9.7.2. შენობას 705.11 ქვეთავის მე-6 გამონაკლისის საფუძველზე: „თუ, 705.8 ქვეთავის შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის საფუძველზე, გარე კედლის ფართობის, სულ მცირე, 25%-ზე დასაშვებია დაუცველი ღიობები“, შენობას პარაპეტი არ მოეთხოვება.

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

9.8. იატაკის და სახურავის ანაწყობების შეფასება

9.8.1. შესრულებულია წესების მოთხოვნათა დაცვით. იხ. კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

- **იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები**: 2 სთ > გათვლილია 2 სთ-ზე მეტი (20 სმ კაჟბადის შემავსებლიანი ბეტონის ფილა. იხ. ცხრილი 721.1(3))
- **სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები**: 1 სთ > გათვლილია 1 სთ-ზე მეტი (20 სმ კაჟბადის შემავსებლიანი ბეტონის ფილა. იხ. ცხრილი 721.1(3))

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

9.9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

9.9.1. პროექტში შერეული დაკავებულობები არაა წარმოდგენილი, შესაბამისად არ მოეთხოვება გამმიჯნავები 508.4 ცხრილის მიხედვით, თუმცა დაცულია მოთხოვნები სახანძრო ტუმბოს ოთახთან დაკავშირებით, 913 ქვეთავის შესაბამისად.

9.9.2. პროექტში წარმოდგენილი **სწ-2** ჯგუფის შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი (-8.93) განიხილება მთლიანი კომპლექსის განსხვავებულ ნაწილად (შენობად), ის დანარჩენი შენობისგან გამიჯნულია 4სთ_იანი თარაზული ანაწყობით (ბეტონის ფილა), რაც დასაშვებია შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების ქვეთავი 510.2 მოთხოვნების დაცვით, რომელიც პროექტში დაკმაყოფილებულია.

9.9.3. შენობაში თანმხლები გამოყენებები, რაც მოცემულია ცხრილი 509-ში, პროექტით არ არის გათვალისწინებული და წესების თანახმად დაკავებულობის აუცილებელი გამიჯვნის დებულებები ამ კუთხით არ ვრცელდება.

9.9.4. საცხოვრებელი ერთეულები ერთმანეთისგან გამიჯნულია 420.2 ქვეთავის შესაბამისად, ცეცხლმედეგი ტიხრების ხარისხი შეადგენს 1 სთ.

9.9.5. პროექტში ყურადღებაა მიქცეული ასევე ცეცხლმედეგი ზღუდეების მოთხოვნებზე ([**ref.#:** 41], ქვეთავი 707).

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

[22] ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან გამომდინარე ღიობების რაოდენობა შეუზღუდავია, შესაბამისად მათი ანგარიში არაა ნაწარმოები

9.10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება:

[ref.#: 41], *თავი 9*

9.10.1. ავტოსაშხეფი სისტემა:

9.10.1.1. **სწ-2** - დაკავებულობის ჯგუფში 903.2.10 ქვეთავის თანახმად გათვალისწინებულია ავტოსაშხეფი სისტემა;

9.10.1.2. **სც-2** - დაკავებულობის ჯგუფში 903.2.8 ქვეთავის პირველი გამონაკლისის თანახმად ავტოსაშხეფი სისტემა არ მოეთხოვება.

შენიშვნა: *თუ NFPA 20 მოითხოვს სახანძრო ტუმბოების სხვაგვარად დაგეგმარებას საჭიროებისამებრ დაკორექტირდეს პროექტი.*

9.10.2. სახანძრო მილდგარების სისტემა: გათვალისიწინებულია **905.4** ქვეთავის შესაბამისი I კლასის სახანძრო მილდგარების სახელოს მისაერთებლები, რომლებიც უნდა მოეწყოს NFPA 14-ის მიხედვით;

შენიშვნა: *912-ე ქვეთავის შესაბამისი სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლის მოწყობა და ადგილმდებარეობა შეთანხმებული უნდა იყოს სახანძრო -სამაშველო სამსახურთან;*

9.10.3. ხელის ცეცხლმაქრი: 906.1 ქვეთავის 1-ლი პუნქტის გამონაკლისის თანახმად საცხოვრებელ ერთეულებს ხელის ცეცხლმაქრები არ მოეთხოვება, ხოლო დერეფნები; სწ-2 და სვ. ჯგუფის დაკავებულობები აღჭურვილია 2A ტიპის 906.3(1) ცხრილის მოთხოვნის შესაბამისი რაოდენობის ცეცხლმაქრებით. ასევე დაცულია მოთხოვნა მანძილებთან დაკავშირებით, არაუმეტეს 23მ ცეცხლსაქრობამდე.

9.10.4. ხელით სამართავი სისტემა: 907.2.9 ქვეთავის თანახმად სც-2 ჯგუფის დაკავებულობებში (დერეფნებში) გათვალისწინებულია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა.

შენიშვნა:

(1) 907.1.1, 907.2.2, 907.2.8.1 ქვეთავის გამონაკლისების თანახმად იმ შემთხვევაში, თუ მოეწყობა ისეთი ავტოსაშხეფი სისტემა, რომელიც წყლის ჭავლის გაშვებისთანავე გააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემებს, შესაძლებელია სახანძრო განგაშის სულ მცირე ერთი კოლოფის განთავსება შესაბამის ადგილას.

(2) 907.4.2.1 ქვეთავის შესაბამისად „სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფები არ უნდა განთავსდეს თითოეული გასასვლელიდან 1,5 მ-ზე მეტი დაშორებით. ისინი ისე უნდა განთავსდეს, რომ უახლოეს კოლოფთან მისასვლელი მანძილი 60 მ-ს არ აღემატებოდეს“, შესაბამისად, შენობის თითოეული სართულის გასასვლელთან გათვალისწინებულია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფი.

9.10.5. UL 217 ის შესაბამისი კვამლზე მორეაგირე მაუწყებელის ერთ- და მრავალბლოკიანი მოწყობილობები: მოეთხოვება 907.2.11.2 ქვეთავის შესაბამისად, ამავე ქვეთავში განსაზღვრულ ადგილებში, რომლებიც NFPA 72-ის შესაბამისად უნდა მოეწყოს;

9.10.6. ორმხრივი კავშირის სისტემა: 1007.6.3 ქვეთავის თანახმად მოეთხოვება თავშესაფრისა და ლიფტის ჯგუფებთან, რომლებიც 1007.8 და 1007.11 ქვეთავების მიხედვით უნდა მოეწყოს.

9.10.7. ხმოვანი განგაშები: მათი განთავსება უნდა მოხდეს სპეციალისტის მითითებების შესაბამისად;

9.10.8. საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემა: აუცილებელი საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემები, უნდა დაგეგმარდეს და დააყენონ NFPA 72-ის შესაბამისად.

9.10.9. მხედველობითი განგაში: 907.5.2.3.4 ქვეთავის თანახმად ყველა საცხოვრებელ და საძინებელ ერთეულში შესაძლებელი უნდა იყოს ვიზუალური განგაშის შეტყობინების მოწყობილობის მუშაობა, „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს შესაბამისად. განგაშის სისტემის სიმძლავრე ისე უნდა

განისაზღვროს, რომ მომავალში შესაძლებელი იყოს, მასში ჩაირთოს შენობის სახანძრო განგაშის სისტემები კვამლზე მორეგირე მაუწყებელის წერტილოვანი მოწყობილობებით, ასევე, ხმოვანი დანადგარები შეიცვალოს ხმოვან-მხედველობითი (კომბინირებული) დანადგარებით ან გაფართოვდეს არსებული ელექტროგაყვანილობის ქსელი კვამლზე გააქტიურებადი განგაშის წერტილოვანი მოწყობილობებიდან მხედველობითი დანადგარებისთვის საჭირო ადგილებამდე.''

9.10.10. <u>სახანძრო განგაშის საკონტროლო ერთეულის დაცვა:</u> 907.4.1 ქვეთვაის შესაბამისად ფართობებზე, რომლებიც მუდმივად არ არის დაკავებული, ერთი კვამლაღმომჩენი უნდა განთავსდეს სახანძრო განგაშის თითოეულ საკონტროლო ერთეულთან, შეტყობინების დანადგარის წრედის დამაგრძელებელთან და საზედამხედველო სადგურის გადამცემ მოწყობილობასთან.

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

9.11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

9.11.1. წყალსადენი სისტემების ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობის საანგარიშოდ გამოყენებულია **1602.1** ცხრილი.

სართული	ხანძარსაშიშროების კატეგორიის მქონე ოთახი	N ბინა-სივრცე	აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობები							
			უნიტაზები		ხელსაბანები		აბაზანები/ შხაპები		წყლის დასალევი მადრევნები		სამომსახურო ნიჟარა	
			ქალი/კაცი		ქალი/კაცი							
			მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
			ერთ საცხოვრებელ ერთეულზე									
ყველა	მრავალბინიანი საცხოვრებელი (სც-2)	1-80	1602.1 ცხრილის მოთხოვნების მიხედვით, თითოეულ ბინაში გათვალისწინებულია და აკმაყოფილებს მოთხოვნებს, აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობები, რაც ასახულია პროექტში და წარმოდგენილ ცხრილებში									

ცხრილი 15. აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობები.

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

9.12. მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

9.12.1. **იატაკის ზედაპირები და დონეთა ცვლილება** (ქვეთავი 302; 303):

იატაკის ზედაპირები შეესაბამება 302.1 და 302.3 ქვეთავებს;
პროექტში იატაკის დონეთა ცვლილება შენობაში არ ხორციელდება;

9.12.2. **მოსატრიალებელი სივრცე** (ქვეთავი 304):

შენობის თითოეულ დაკავებულ მისაწვდომ სივრცეში გათვალისწინებულია 304 ქვეთავის შესაბამისი მოსატრიალებელი სივრცე;

9.12.3. **იატაკის თავისუფალი სივრცე** (ქვეთავი 305)

პროექტის მისაწვდომ სივრცეებში გათვალისწინებულია იატაკის თავისუფალი სივრცის გაბარიტები, 305_ე ქვეთავის შესაბამისად;

9.12.4. **მისაწვდომი სვლაგეზი** (ქვეთავი 401):

მისაწვდომი სვლაგეზების მიმართულებით, სავალი ხაზის თავისუფალი სიგანის ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები (არაუმცირეს 900 მმ სიგანე); ასევე დაცულია ყველა სხვა მოთხოვნა მისაწვდომ სვლაგეზთან მიმართებაში;

9.12.5. **კარი და გზა-კარები** (ქვეთავი 404)

დაცულია წესების მოთხოვნები კარის/გზა-კარის თავისუფალი სიგანისა და კართან მანევრირებისთვის თავისუფალი სივრცის მიმართ 404.2.2; 404.2.3 ქვეთავებისა და 404.2.3.2; 404.2.3.3 ცხრილების მიხედვით;
404.2.4 ქვეთავის მიხედვით კარის ზღურბლი უნდა იყოს არაუმეტეს 13მმ სიმაღლის;
კარის კავეულის და დახურვის სიჩქარე გათვალისწინებული უნდა იყოს 404.2.6 და 404.2.7 ქვეთავის შესაბამისად;
ავტომატურად მოძრავი კარი მოწყობილი უნდა იყოს 404.3 ქვეთავისა და ANSI/BHMA A156.10 სტანდარტის შესაბამისად;

9.12.6. **პანდუსები** (ქვეთავი 405)

პროექტში პანდუსი არაა წარმოდგენილი;

9.12.7. **ლიფტები** (ქვეთავი 407)

დაცულია მოთხოვნები ლიფტთან მიმართებაში 407ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად, ნახაზები წარმოდგენილია პროექტში;

9.12.8. **ავტოსადგომი სივრცეები** (ქვეთავი 502)

პროექტში დაცულია 502 ქვეთავის მოთხოვნები მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცის გაბარიტებთან მიმართებაში ნახაზები წარმოდგენილია პროექტში;

9.12.9. **გზა-კიბეები და სახელურები** (ქვეთავი 504; 505)

გზა კიბეები და სახელურები აკმაყოფილებს 504 და 505 ქვეთავის მოთხოვნებს, დეტალური ნახაზები წარმოდგენილია პროექტში;

9.12.10. **წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები** (ქვეთვი 602; 604; 606; 607; 608; 609; 610)

9.12.10.1. უნიტაზები და ტუალეტის ნაკვეთურები

პროექტში დაცულია 604, 606 და 609 ქვეთავის მოთხოვნები ტუალეტის ნაკვეთურების, ხელსაბანი ნიჟარებისა და ხელმოსაჭიდი ძელების მიმართ;

9.12.10.2. აბაზანები და საშხაპის ნაკვეთურები

პროექტში დაცულია 607; 608; მოთხოვნები აბაზანებთან და საშხაპეებთან მიმართებაში, მათთან ერთად დაცულია ასევე 606; 609; 610 ქვეთავის მოთხოვნები ხელსაბან ნიჟარებთან, ხელჩასაჭიდ ძელებთან და დასაჯდომებთან მიმართებაში;

9.12.11. **ნიშნები** (ქვეთავი 703)

დაცულია და წარმოდგენილია ნახაზები გასასვლელის ნიშნებთან მიმართებაში;

9.12.12. **მისაწვდომი ერთეულები, „ა“ და „ბ“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულები** (ქვეთავი1102; 1103; 1104)

პროექტში დაცულია ზემოხსენებული ქვეთავების მოთხოვნები მისაწვდომ „ა“ და „ბ“ ტიპის საცხოვრებელ ერთეულების მიმართ, რომელთა დეტალური ნახაზები წარმოდგენილია პროექტში.

X. დასკვნა:

ჩემ მიერ ჩატარებული ექსპერტიზით, ტექნიკური რეგლამენტების ([*ref.#: 41*] და [*ref.#: 732*]. *იხ. თავი IV-VI*) მოთხოვნათა გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ *გეგმარებითი ობიექტის* სანებართვო დოკუმენტაციის **არქიტექტურული პროექტი შეესაბამება ხსენებული რეგლამენტების მოთხოვნებს** და **ეძლევა რეკომენდაცია მშენებლობის ნებართვის მისაღებად**.

ექსპერტი **ვახტანგ ჯოხაძე**

03.02.2023, თბილისი

დანართი 1:

ვახტანგ ჯოხაძე

არქიტექტორი, ურბანისტი, სამშენებლო კანონმდებლობისა და საქმიანობის ექსპერტი, არქ. მაგისტრი



პირადი მონაცემები:

ვახტანგ ჯოხაძე

დ. 23.12.1985 თბილისი, საქართველო

საქართველოს მოქალაქე

საკონტაქტო მონაცემები:

3. დოლიძის ქ. 27; 0171, თბილისი, საქართველო

(+995) 577 171094

jokhadzevakhtang@gmail.com, v.jokhadze@sdmi.ge

პროფესიული ინტერესები

ურბანისტიკა, სივრცითი დაგეგმვა, არქიტექტურა და დაკავშირებული საქმიანობა

კომპიუტერული უნარჩვევები:

- *MS Windows – 5*
- *MS Office:*
  - *Word - 5*
  - *Excel - 4*
  - *PowerPoint - 5*
  - *Outlook - 4*
- *Adobe CS:*
  - *Adobe Acrobat - 5*
  - *Photoshop - 5*
  - *Illustrator - 4*
  - *InDesign - 3*

განათლება

2007-2009/2011	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი; არქიტექტურის საფუძვლების და თეორიის აკადემიური დეპარტამენტი. ***არქიტექტურის მაგისტრი***
2003-2007	სტუ; არქიტექტურის, დიზაინის და ურბანისტიკის ფაკულტეტი; ***არქიტექტურის ბაკალავრი.***
1992-2003	თბილისის კლასიკური გიმნაზია (ამჟამად – თბილისის N1 საჯარო სკოლა).

სამუშაო გამოცდილება

სექტ. 2020 – დღემდე	*შპს „თავისუფალი ექსპერტები“* (Free EXPERTS®) – ***დირექტორი. პროექტების ხელმძღვანელი*** *და* ***ექსპერტი*** *(შეთავსებით)*
ოქტ. 2019 – დღემდე	*ა(ა)იპ “საქართველოს სივრცითი განვითარების მართვის ინსტიტუტი”* (SDMI® Georgia) — ***თავმჯდომარე.*** *პროექტების ხელმძღვანელი (შეთავსებით)*
ივნ. 2020 – ოქტ. 2020	*Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება) >* ***პროგრამა: ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება სამხრეთ კავკასიაში — მოკლევადიანი ექსპერტი.***
მარტ. 2019 – მაისი 2019	*Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება) >* ***პროგრამა: ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება სამხრეთ კავკასიაში — მოკლევადიანი ექსპერტი.***
მარტ. 2019 – ოქტ. 2020	*ა(ა)იპ “საქართველოს სივრცითი განვითარების მართვის ინსტიტუტი”* (SDMI® Georgia) — ***თავმჯდომარის მოადგილე***
მაისი 2018 – დეკ. 2019	*ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია > ქ. ბათუმის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტაციის შეშუშავება —* ***მოკლევადიანი ექსპერტი***
მარტ. 2018 – მარტ. 2019	*ა(ა)იპ “საქართველოს სივრცითი განვითარების მართვის ინსტიტუტი”* (SDMI® Georgia) — ***თავმჯდომარე***
თებ. 2018 – ნოემბ. 2020	*შპს "New City Development" –* ***ტექნიკური დირექტორი***
ნოემბ. 2017 – თებ. 2018	*შპს "New City Development" > სივრცითი დაგეგმვის მიმართულება –* ***პროექტების ხელმძღვანელი***
ნოემბ. 2016 - დღემდე	*შპს „თავისუფალი არქიტექტორები“* (Free ARCHITECTS®) *> სივრცითი დაგეგმვის მიმართულება –* ***პროექტების ხელმძღვანელი*** *(შეთავსებით)*
ნოემბ. 2015 - ნოემბ. 2016	*ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის, სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური > ურბანული მართვისა და განვითარების ჯგუფი –* ***ხელმძღვანელი***
მაისი 2015 – მაისი 2016	*შპს "New City Development" > სივრცითი დაგეგმვის მიმართულება* ***არქიტექტორ-ურბანისტი,*** *დაგეგმვის კონსულტანტი (მოკლევადიანი)*
მაისი 2015 – ნოემბ. 2015	*ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის, სსიპ –* ***ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური*** *> ურბანული მართვისა და განვითარების ჯგუფი –* ***სპეციალისტი***
სექტ. 2014 - დეკ. 2014	*Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება) >* ***პროგრამა: სამართლისა და იუსტიციის რეფორმების კონსულტაცია სამხრეთ კავკასიაში — მოკლევადიანი ექსპერტი.***
ოქტ. 2013 - მაისი 2015	*ქ. თბილისის მერიის სსიპ –* ***ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახური > ურბანული დაგეგმარების დეპარტამენტი > გეწერალური გეგმის მართვისა და ქალაქგეგმარების განყოფილება - სპეციალისტი.***
ნოემბ. 2010 – ოქტ. 2013	*ქ. თბილისის მერიის სსიპ –* ***ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახური > სანებართვო დეპარტამენტი – III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანაპიროს სანებართვო განყოფილება - სპეციალისტი***

ფოტო 1. სამუშაო გამოცდილება რეზიუმედან

- Acrobat - 5
- Audition - 4
- Premiere Pro - 3
- Corel Draw - 3
- ArchiCAD - 5
- Revit - 3
- AutoCAD - 4
- SketchUp - 4
- 3D MAX – 5
- Lumion - 2
- Arc GIS – 3

შენიშვნა: 1=გაგება, 5=სრულყოფილი გამოყენება

ენების ცოდნა:

- *ქართული – **მშობლიური***
- *რუსული – **კარგი***
- *ინგლისური – **კარგი***
- *გერმანული – დამწყები*

ავტოტექნიკის მართვა:

- *მართვის უფლება – **2015-დან***
- *კატეგორია – **B***

ივლ. 2010 – ნოემბ. 2010	*ქ. თბილისის მერიის სსიპ – **ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახური > ურბანული დაგეგმარების დეპარტამენტი > მიწის წაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადების განყოფილება - სპეციალისტი***
აგვ. 2009 – ივლ. 2010	*ქ. თბილისის მერიის სსიპ – **ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახური > სანებართვო დეპარტამენტი > მარკვეზა სანებართვო განყოფილება - სპეციალისტი***
სექტ. 2008 – დეკ. 2008	*შპს „წმინდა გიორგის სახელობის საერო სკოლა“ > შრომის დისციპლინა – **ავიამოდელირების მასწავლებელი***
2007-2008	*შპს „თამარინა პროექტი“ — **არქიტექტორი.** 3D გრაფიკოსი (შეთავსებით)*
2007	*შპს „იდეა გრუფი“ — **არქიტექტორი.** 3D გრაფიკოსი (შეთავსებით)*
2006	*აჯ „უაფშერ ჯორიჯია“, სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი – **დიზაინერი** (კომპ. გრაფიკა)*
2005-2006	*აჯ „უაფშერ ჯორიჯია“, 3D ტექნოლოგიების განვითარების დეპარტამენტი – **უმცროსი დიზაინერი** (კომპ. გრაფიკა)*

მნიშვნელოვანი პროექტები და მიღწევები

სივრცითი დაგეგმვა & ქალაქგეგმარება

მარტ. 2021 – მაისი 2022	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი > მერია, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში > **დაბა გომისმთის განაშენიანების გეგმის შემუშავება** — *პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე* და ***განაშენიანების მართვის დაგეგმვის ხელმძღვანელი*** პროექტის ფარგლებში მომზადდება: მთლიანი დასახლების **განაშენიანების გეგმა** და განაშენიანებისთვის განკუთვნილი ტერიტორიების **განაშენიანების დეტალური გეგმები**, ახალი სამშენებლო კოდექსის შესაბამისად.
მაისი 2020 – ივლ. 2021	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი > მერია, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში > **გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის შემუშავება** — *პროექტის ხელმძღვანელი* და ***განაშენიანების მართვის დაგეგმვის ხელმძღვანელი.*** პროექტის ფარგლებში მომზადდა: მთლიანი დასახლების **განაშენიანების გეგმა** და სანაპირო ზოლში 18 სამეზობლოს **განაშენიანების დეტალური გეგმა**, ახალი სამშენებლო კოდექსის შესაბამისად.
მარტ. 2019 – 2021	სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი > **ქ. მცხეთის სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის დოკუმენტაციის შემუშავება** — *პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე* (ამხანაგობა „აქოლისი“) და ***კონსულტანტი განაშენიანების მართვის საკითხებში***
ოქტ. 2017 – დეკ. 2017	აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, *სივრცითი მოწყობისა და ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტი* > განაშენიანების რეგულირების გეგმა და 5 ტიპური კოტეჯის პროექტი **„ღომას მთის საკურორტე ინფრ. განვითარების პროექტისა“** და **„მწვანე ტბის საკურორტე ინფრ. კეთილმოწყობის კონცეპტუალური პროექტისთვის“** — ***დაგეგმვის ხელმძღვანელი***
აგვ. 2017 – დეკ. 2019	შპს თაზის ოილი > *ყულევის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის **განაშენიანების რეგულირების გეგმა*** და *ესკიზური პროექტი, ვიდეო-რგოლით — **პროექტის ხელმძღვანელი*** და ***განაშენიანების გეგმის** ავტორი*
მაისი 2017 – ოქტ. 2017	*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, შპს მთის კურორტების განვითარების კომპანია* > გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის 6 გეგმარებითი არეალის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი — ***პროექტის ხელმძღვანელი*** და ***განაშენიანების გეგმების** ავტორი*
ნოემბ. 2016 - ივნისი, 2017	*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო > იყალთოს ხევის განაშენიანების რეგულირების გეგმა სოფელი იყალთო, კეხეთი — **პროექტის ხელმძღვანელი*** და ***ავტორი***
2015 – 2016	*ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია > **ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა** (პროექტი) და **ქალაქთმშენებლობითი კადასტრი — პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე** და **თანაავტორი***

შენობა-ნაგებობები

2022	სასტუმრო „იბის ქუთაისი“ („IBIS HOTEL KUTAISI“) აეროპორტთან, ქუთაისი > კონცეფცია და დეტალური დაგეგმარება, სანებართვო დოკუმენტაციის მომზადება – ***უსაფრთხოების ექსპერტი***
2021 – დღემდე	რესტორანი „ჰარდ როკ კაფე“ სოლოლაკში, თბილისი > კონცეფცია და დეტალური დაგეგმარება, სანებართვო დოკუმენტაციის მომზადება რეკონსტრუქცია-ადაპტაციისთვის – ***უსაფრთხოების ექსპერტი, სანებართვო საკითხების კონსულტანტი***

ფოტო 2. სამუშაო გამოცდილება რეზიუმედან

2019	მრავალბინიანი სახლი ნავთლუღში, თბილისი > კონცეფცია და დეტალური დაგეგმარება, სანებართვო დოკუმენტაციის მომზადება – ***უსაფრთხოების ექსპერტი***
2018	სასტუმრო „სანა თბილისი“ („HOTEL SANA EVOLUTION TBILISI“) ჩუღურეთში, თბილისი > კონცეფცია და დეტალური დაგეგმარება, სანებართვო დოკუმენტაციის მომზადება – ***უსაფრთხოების ექსპერტი***
2018 – 2019	სასტუმრო „თაიმ აუთი“, გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორია > კონცეფცია და დეტალური დაგეგმარება, სანებართვო დოკუმენტაციის მომზადება რეკონსტრუქციისთვის – ***პროექტის ავტორი და არქიტექტორი***
2018	მრავალბინიანი სახლი ვარკეთილში, თბილისი > კონცეფცია და დეტალური დაგეგმარება, სანებართვო დოკუმენტაციის მომზადება – ***უსაფრთხოების ექსპერტი***
2018	მრავალბინიანი სახლი დიდ დიღომში, თბილისი (*კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დახმარების პროგრამა*) > კონცეფცია და დეტალური დაგეგმარება, სანებართვო დოკუმენტაციის მომზადება – ***უსაფრთხოების ექსპერტი***
2017	მრავალბინიანი სახლი 3 ბლოკად (***სეუ დეველოპმენტი***), თბილისი > კონცეფცია და დეტალური დაგეგმარება, სანებართვო დოკუმენტაციის მომზადება – ***უსაფრთხოების ექსპერტი***
2017	მრავალბინიანი სახლი ოქროს უბანში, თბილისი > კონცეფცია და დეტალური დაგეგმარება, სანებართვო დოკუმენტაციის მომზადება რეკონსტრუქციისთვის – ***პროექტის თანაავტორი***
2017	ინდივიდუალური სახლი წყნეთში, თბილისი > კონცეფცია და დეტალური დაგეგმარება, სანებართვო დოკუმენტაციის მომზადება – ***პროექტის თანაავტორი და არქიტექტორი***
2016 – 2019	მრავალბინიანი სახლი საბურთალოზე, თბილისი > კონცეფცია და დეტალური დაგეგმარება, სანებართვო დოკუმენტაციის მომზადება, საავტორო ზედამხედველობა – ***პროექტის ავტორი და არქიტექტორი***
2011	სკოლა 120 მოსწავლეზე დიღომში, თბილისი > კონცეფცია და დეტალური დაგეგმარება, სანებართვო დოკუმენტაციის მომზადება, საავტორო ზედამხედველობა – ***პროექტის ავტორი და არქიტექტორი***
2007 – 2008	საბანკო ფილიალების რეკონსტრუქცია/რებრენდინგი (***ტაო-პრივატ ბანკი***) > ინტერიერ-ექსტერიერის კონცეფცია და დეტალური დაგეგმარება, საავტორო ზედამხედველობა – ***პროექტის ავტორი და არქიტექტორი***

პუბლიკაციები

ივნ. 2020 – ოქტ. 2020	*Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება)* > ***პროგრამა: ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება სამხრეთ კავკასიაში*** — *„ილუსტრირებული გზამკვლევი სივრცით დაგეგმვასა და განაშენიანების მართვის საკითხებში" – თანაავტორი.*
2017 – 2019	**მსოფლიო ბანკი**, *საქართველოს რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი – P147521* > საკონსულტაციო მომსახურება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებისათვის სივრცითი დაგეგმვის, აქტივების მართვისა და კაპიტალური ინვესტიციების გეგმებში: ***სივრცითი დაგეგმვის სახელმძღვანელო საქართველოს მუნიციპალიტეტებისთვის*** *(3 ტომად)* — ***თანაავტორი.***
მაისი 2018 – ივლ. 2018	*ა(ა)იპ ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი* > სპეციალურად *სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისთვის*, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში: „საჯარო სერვისის ხარისხიანი მიწოდების პრაქტიკის დანერგვა ადგილობრივი თვითმმართველობის კონტექსტში“ > ***სტანდარტული ოპერაციული პროცედურები, II-IV კლასის შენობის/ნაგებობის მშენებლობის ნებართვის გაცემისთვის — ავტორი და რედაქტორი***
2016	*ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის*, *სსიპ* – *ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური* > *განაშენიანების რეგულირების გეგმის სტანდარტი* (გეგმის მომზადების წესი და მისი შეთანხმების სამუშაო პროგრამა) — ***ავტორი***
2015 – 2016	*ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის, სსიპ* – ***ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური*** > *ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები (განახლებული რედაქცია, დამტკიცებულია სკრებულოს 2016 წ N14-39 დადგენილებით)* — ***თანაავტორი და რედაქტორი***

ფოტო 3. სამუშაო გამოცდილება რეზიუმედან

2014 – 2016, 2019	*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება) > რეფორმის პროექტი:* • *საქართველოს სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის კოდექსი — დაგეგმვის ნაწილის თანაავტორი;* • *სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი — თანაავტორი;* • *დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები —თანაავტორი;* • *მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესი და პირობები —თანაავტორი;*
2010 – 2011	*სამაგისტრო ნაშრომი* > ***ქართული ტრადიციული საცხოვრისი — მოდელი წეო-მოღერნისტული საცხოვრისისა***

სხვა აქტივობა

2019 – დღემდე	**SDMI® Georgia** > *ტრენინგი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები (41 დადგენილება) და პრაქტიკული გამოყენება" —* ***ხელმძღვანელი, ტრენერი***
მაისი 2018 – დეკ. 2019	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია > ქ. ბათუმის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების პროექტი > ***სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო დოკუმენტაცია*** *—* ***ავტორი*** *და* ***კონსულტანტი***
2018 – 2020	**მსოფლიო ბანკი, საქართველოს რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი – P147521** > პროგრამა: საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება სივრცითი დაგეგმვის, აქტივების მართვისა და კაპიტალური საინვესტიციო გეგმების შემუშავების კუთხით > *კლასტერული ტრენინგი სივრცით დაგეგმვაში მუნიციპალიტეტებისთვის —* ***ტრენერი*** *(შპს გეოგრაფიკი)*

ტრენინგები და სემინარები

ივნ. 2015	***Training Center of the Ministry of Commerce of PRC & Jiangxi College of Foreign Studies -*** *Seminar on Town Infrastructure Construction and Management of Inland Regions for Developing Countries (ტრენინგი ქალაქებში: ნაწილი, ჰეკინი, შანჰაი. ჩინეთი)*
ივნ. 2012	***სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახური*** *— ტრენინგი ტრენერებისთვის*
აპრ. 2012	***საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი*** *— ეფექტური კომუნიკაცია და პრეზენტაცია (ტრენინგი)*
თებ. 2010	***სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახური, Royal Institute of British Architects*** *— თანამედროვე არქიტექტურა (სემინარი)*
ნოემბ. 2009 - დეკ. 2009	***Training Center of the Ministry of Commerce of PRC*** *— Coordinated Development of Urban and Rural Areas for Developing Countries (ტრენინგი ქალაქებში: ჰეკინი, სიანი, შანჰაი. ჩინეთი)*
ივლ. 2009	***სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახური, USAID Georgia*** *— ტრენინგ-სემინარი (არქიტექტურის სამსახურისთვის სტაჟიორთა მოსამზადებელი კურსი)*

ფოტო 4. სამუშაო გამოცდილება რეზიუმედან.

დანართი 2:



მაგისტრის
დიპლომი
MASTER'S
DIPLOMA

ფოტო 5. დიპლომის ფოტოასლი. ყდა.



საქართველო
Georgia
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
Legal Entity of Public Law
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Georgian Technical University
მაგისტრის დიპლომი
Master's Diploma
MD № 000254
WITH HONOURS
არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 2011 წლის 8 თებერვლის № 35 გადაწყვეტილებით
ვახტანგ ჯოხაძეს მიენიჭა არქიტექტურის მაგისტრის აკადემიური ხარისხი
By the decision № 35 February 8, 2011 of the Faculty of Architecture, Urban Planning and Design
Mr. Vakhtang Jokhadze was awarded the Degree of Master of Architecture
რეგისტრაციის № 00230
Registration
თბილისი 13 04 2016
Tbilisi რიცხვი/Day თვე/Month წელი/Year
დეკანი გოჩა მიქიაშვილი
Dean Gocha Mikiashvili
რექტორი არჩილ ფრანგიშვილი
Rector Archil Prangishvili
ბ.ა.
Seal

ფოტო 6. დიპლომის ფოტოასლი. შიგთავსი.

დანართი 3:



ფოტო 7. პირადობის მოწმობის ფოტოასლი.